


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

**№ 47.** ნოემბერი 13, 1894 წ. **№ 47.**

შინაარსი: „ივერია“, „მოამბე“ და „მესამე დასი“ ყარიბისა,—*** ლექსი დუტუ მეგრელისა.—საყურადღებო ამბები.—ხმა მაზრებიდან.—კაცებს, ლექსი ბარბარე ჯორჯაძისა.—საგრამატიკო კვლევა კ. დოდაშვილისა. ბანკის განცხადებანი.—კერძო განცხადებანი.

ამ ნომერს დაბარებულმა სურათებმა ვერ მოასწრო.

ანასტასია მიხაილის ასული წერეთლისა, თ. გიორგი, ვასილ და კონსტანტინე მიხაილის ძენი თუმანიშვილები უცხადებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დედის მათის განსვენებულის **კნ. სოფიო აბრამის ასულის თუმანიშვილის** წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება კვირას, 13 ნოემბერს, 10 საათზე დილით კამოევის ეკლესიაში სასახლის ქუჩაზე.

## „ივერია“ „მოამამბე“ და მესამე დასი

### I

საბედნიეროთ ჩვენის ერისა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობამ ამ ბოლოს დროს ბევრი ახალი საკითხი წამოაყენა წინ; ასე წარმოიდგინეთ, მესამე დასმაც კი იჩინა თავი. ამ უკანასკნელმა კიდეც აღნიშნა რამდენიმე მუხლი თავის მომავალი მოღვაწეობისა. როცა რომელიმე დასი საასპარეზოთ ემზადება, ასეთი გამოცხადება თავის სიცოცხლის ნიშან-წყლისა ჩვეულებრივია და თუ არ გაახარებდა ვისმე, ახალ იმედებს არ გაუღვიძებდა, წყენით მაინც არავის უნდა წყენოდა; მაგრამ „შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე“ სწორედ აქ აღმოჩნდა.

ამ რამდენიმე თვის წინათ „ივერიის“ ფურცლებზე გამოახტუნა თავისი ჯოხის ცხენი ვიღაც კაერემენმა და ისეთი ფართი-ფურთით დაბრიალა ჰაერში ყაერისაგან გამოჩიკნილი ხმალი, რომ მთელს საქართველოს მოეფინა იმისი „ქლერის ხმა“. მერე არ იკითხავთ, რა ყოვლის შემძლებელი ყოფილა ეს ვაჟბატონი? მთელი „მესამე დასი“, საცოდავი „კვალი“ და იმისი უფრო საცოდავი თანამშრომლები შეუბრალებლათ ჩაჰყარა ერთ პატარა როდინში და ისე საშინლათ დანაყა, რომ ლამის იმითი სერობა გადაუხადონ ფრინველთა ცისათა. ჩვენ მაშინვე გვინდოდა ფხა გაგვესინჯა ბ-ნ კაერემენის ფართი-ფურთისა და ყვირილისათვის, მაგრამ იმ დროებით ეს ერთობ

ადრეულათ და უალაგოთ დავინახეთ, რადგანაც ამ ვაჟ-ბატონს ზედვე ეტყობოდა, რომ ჯერ ფრთები კარგათ არ მოზრდოდა და ფრენაც არ ეხერხებოდა... „დეე ივარჯიშოს, დღეს შკოლის შეგირდებსაც ჯოხის თოფებით ასწავლიან სამხედრო ვარჯიშობას-მეთქი". მაგრამ ვნახოთ, რომ დღეს ეს ყრმა ძალიან გათამამებულა. ის ხელ-ახლავე გამობძანდა გაზეთის ფურცლებზე იმავე საყმაწვილო იარალით და წარმოიდგინეთ ამ ჯოხზე მჯდომარე რაინდს უფრო წლოვანმაც დაუჭირა მხარი, როგორიც ბძანდება ცნობილი ა. ნ–ლი. ეს უკანასკნელი მიზეზი ჩვენთვის უფრო დიდ-მნიშვნელოვანია: ჰგავს, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ უარყოფილ ახალთაობას (მოიგონეთ თ. ილ. ჭავჭავაძის მოწინავე წერილი ამ საგანზე დ. ხ. საპასუხოთ) უკვე მოუპოვებია ნიადაგი მოქმედებისა; მას დაუფთხია ძილი ჩვენი ძველი დასისთვის.

ამიტომ როცა გაზეთის ფურცლებზე მესამე დასის შესახებ დავინახეთ წერილები, ძლიერ გვესიამოვნა. თუმცა ზემოხსენებულმა მწერლებმა ამ თავიდანვე კარგი არაფერი დაანათლეს მას, მაგრამ მაინც მოხარულნი ვართ! გამოჩენილი ბუმბერაზების წყრომის ღამსახურებაც სასახელოა. და ეს მწერლები რომ დიდი ვიშმეები ბძანდებიან, ამის თავდებათ თვით „ივერიისა" და „მოამბის" რედაქციებიც გვეყოფა. მაგრამ ჯერ მხოლოთ „ივერიის" რაინდს გაუსინჯოთ ძალა აზროვნებისა. რაც უნდა იყოს „მესა დასის" სახელს საკრიტიკოთ პირველათ ვხედავთ „ივერიის" ფურცლებზე; თუმცა ეს მესამე დასი ახლაც საცოდავათ ფრჩხილებში გამოუმწყვდევიათ, მაგრამ რა გაეწყობა? „დალეულს დამპალიც ჯობიაო" იტყვის ხოლმე ქართული ანდაზა და სულ არ ყოფნას ოთხკედელშუა გამომწყვდეულიც კარგია.. აქამდის „ივერიას" სულაც არ ეჯერა მესამე დასის არსებობა ჩვენში და თვითონ ამ გაზეთის მომავლინებელმა ზევსმა ლაღად ჰყო ხმითა დიდითა: რა ახალი თაობა? რის ახალი თაობა? რის ფლავი, რის ბოზბაში? ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი გამთენებელი ღამისა, თორემ ახალი თაობა ჩვენში რა სახსენებელიაო..—ბძანა ეს და ამით გადაწყვიტა ამ მესამე დასის ბედი.

მაგრამ წელს, უდროოთ დაკარგული ე. ნინოშვილის საფლავზე რაღაც მანქანებით გაჩნდა ეს ზევსის მიერ უარყოფილი ახალი დასი, რომელმაც განსვენებული ბელეტრისტის საფლავზე პირველათ *) წარმოთქვა თავისი რამდენიმე სამოქმედო პროგრამის მუხლი და ხმა-მაღლა, გულ-ახდით წამოაყენა წინ მომავალი მოქმედების საგანი. მართალია ასეთ ტრაღიკულ წუთებში, როგორშიაც იყო ნინოშვილისთანა ნიჭიერი წევრის დამკარგავი ახალგაზდობა, ვრცლათ და დაწვრილებით პროგრამის გამორკვევა შეუძლებელი იყო, მაგრამ რამდენმამე ახალგაზდა კაცმა მაინც წარმოთქვეს თავისი აზრი მომავალი მოღვაწეობის შესახებ. გაზეთ „კვალის" რედაქციამ სიამოვნებით აღნიშნა ეს მოვლენა და ბ-ნმა დამსწრემ თავისი ნახულ-გაგონილი შემდეგი სიტყვებით გადასცა საზოგადოებას:

„ნინოშვილის საფლავზე ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა,—წერდა ბ-ნი დამსწრე „კვალის" მე-21 №-ში,—ნინოშვილის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვთქვათ, მესამე დასი ახალ-გაზდობისა, ე. ი. სულ უკანასკნელი წლების ახალი თაობა, რომელიც გამოსულა ასპარეზზე მეოთხმოც-დაათე წლებიდან... ისინი უარს ჰყოფენ ძველს ჩვენ ინტელიგენტ-მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლათ მიაჩნიათ საზოგადოების წარმატებისათვის, რადგანაც ისინი (ინტელიგენტ-მეთაურები) განსეთქილან და გაუყვიათ მთელი საზოგადოება პირადი ინტერესების გულისათვის: ებრძვიან ერთმანეთს უწმინდურის საშუალებით, დაპირებითა და ქრთამით. საგანი მათი მოქმედებისა კი არის სიმდიდრის მოხვეჭა, პირადი სარგებლობის ძიება და პირზე ნიღაბი ქვეყნის მოღვაწეობისა ჩამოუფარებიათო. სოლო ცხოვრებაში, გარდა პირადი კეთილ-დღეობისა, არა უჩანთ რაო და მამაცურათ მოქმედებას უარს ჰყოფენო... ამ დასმა ნინოშვილის კუბოზე პირველათ წარმოთქვა თავისი მოქმედების პროგრამა და თითქო რაზმათ დაეწყო, რომ ხალხში განათლების შუქი შეიტანოს. ამ მესამე დასმა საგნათ აირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელ ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერების მიერ გამორკვეული ნათელი აზრები, მკვირცხლათ ადევნოს თვალი მსოფლიო ცხოვრებას და არავითარი მოვლენა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრებაში მისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წამოაყენებს მის ბედ-იღბალს". ამ დასში ყველა თავგანწირულები არიან, რომელთაც არავითარი სიმდიდრე არ იტაცებს და მზათ არიან „ძაძით შემოსილი ემსახურონ ხალხს და ეცადონ მის გამოფხიზლებას". ესენი არიან ახალგაზდები გონებრივი ძალით სავსენი და სხვა...

აი, ეს გახდათ მქრალი გამოხატვა იმ „მესამე დასის" პროგრამისა, რომელმაც, ბ-ნ დამსწრეს სი-

---

*) ვამბობთ „პირველათ", რადგანაც ნიჭიერი მწერლის დაკარგვამ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოუყარა თავი ახალ გუნდს, გააცნო ერთმანეთს, უწმინდესი მძურრი გრძნობით დააკავშირა ეს დაქსაქსული ძალა და მიცა შემთხვევა ერთმანეთისათვის აზრების გაზიარებისა.

ავტორი

ტყვით, განსვენებული ნინოშვილის საფლავზე იჩინა თავი. ასეთი მოვლენა ჩვენის აზრით, ყოველ პატიოსან მოღვაწეს სულს აღუფრთოვანებდა და უკეთესი მერმისის იმედებს გაუღვიძებდა. რასაკვირველია, ჩვენ ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ საზოგადოებამ ყოველ კრიტიკაზე მაღლა უნდა დააყენოს ეს ახალი თაობის „აღფრთოვანებული სიტყვები და უგზოუკვლოთ ხეტიალი“ (კურსივი ბ. კაერემენის არის), მაგრამ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ჭკუათა მყოფელი ადამიანი, რაც უნდა „ურწმუნო თომა“ ყოფილიყო, იმედითა და სიამოვნებით დაუწყებდა თვალ-ყურის დევნებას ამ ახალ დაბადებულ დასს და თუ ძმურათ ხელს არ მიცემდა, მტრულათ მაინც არ დაუწყებდა მოშხამულ ისრების სროლას. ასე ვფიქრობდით, მაგრამ ძლიერ მოვტყუვდით!.. პირველი შხამიანი ისარი ამ მესამე დასის გასაგმირავათ „ივერიის“ რედაქციამ გამოისროლა. ამ რედაქციას დიდი ხანია ზნეთ დაჩემდა გამოჩენისათავე ბრძოლა აუტეხოს ყოველ ახალს მიმართულებას ჩვენში და ეცადოს ძირ-ფესვიანათ მის განადგურებას. რომ აქ მკითხველებმა გადამეტებული ლაპარაკი არ დაგვწამოს, სხვათა შორის მოვაგონებთ ახალგამოჩენილის „კვალის“ წინააღმდეგ უკვე ვაქკაცობაზე გადასულის „ივერიის“ საჩხირ-კედელაო პოლემიკას *); მაგრამ საქმე ის არის, რომ „ივერიას“ ამ შემთხვევაში უფრო სქელმა მოძმემ „მოამბემაც“ მხარი დაუჭირა და თავისი საკვირველი ბ-ნ ნ—ლის ხელით ანდერძი აუგო ამ მესამე დასს.

„მესამე დასი დაგვებადაო—გულ-დაწყვეტით ეუბნება ბ. კაერემენი თავის ვიღაც სიმონს და შემდეგ განაგრძობს:—ვინ იცის, იქნება მართლაც მესამე იყოს, მაგრამ მარტო მესამობა როდი იძლევა ნუგეშს; ის როდია საკმარისი, რომ ყოველიფერი უარ ვყოთ. როდესაც ერთს ვიწუნებთ, ამის ადგილს უკეთესს ვუთმობთ. ახალმა დასმა უარ ჰყო ჩვენი ძველები, მაგრამ სამაგიეროთ რა დაჰბადა?“ —კითხულობს ბ-ნი კაერემენი და თვითვე იძლევა პასუხს: „არაფერი და ვერც დაჰბადებს!“ (sic!) აფერუმ თქვენს წინასწარმეტყველებას!!

*) მკითხველებს ეხსომებათ, რომ ველარც კი მოასწრო გამოსვლა „კვალის“ რამდენიმე ნომერმა, რომ „ივერიამ“ დაისვია ხელზე სიტყვა „ნახატებიანი“ და მანამდი გამოუჭედა ყური მკითხველებს, სანამდი მისმავე თანამშრომელმა, ბ-ნ გრ. ვოლსკმა, არ შეფასა „ივერიელები“: რა ღმერთი გაგიწყრათ, ნუ თუ ქართული სიტყვა „ნახატებიანი“ რა არის, ისიც აღარ იცითო? თუ თქვენი მელანი და ქაღალდი არ გიზოგავთ, მკითხველები მაინც შეიბრალეთო. ავტორი.

ცოტაც არ იყოს შევჩერდეთ, მკითხველო, ამ ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებზე და ვკითხოთ ბ-ნ კაერემენს: საიდან გამოიყვანა მან ასეთი დასკვნა? რა საბუთის ძალით დაუდგინა მან ახალ თაობას ეს მკაცრი განაჩენი? თუ ჩვენ მიერ ზემოთ „კვალიდან“ ამოწერილ ამბავს ხმარობს ის „მესამე დასის“ სიგრძე-სიგანისა და მომავალი მოღვაწეობის საზომ-საწონათ, იქიდან ასეთი მკაცრი განაჩენის დადგენა რაღაც მოუხერხებლათ გვეჩვენება და სხვა წყაროები კი ჯერ არაფერი აქვს ჩვენს მწერლობას ამ მესამე დასზე... საინტერესოა ვიცოდეთ: რა საბუთის ძალით ხელ-მძღვანელობდა ეს ვაჟ-ბატონი ასეთი განაჩენის დადგენის დროს...

მაგრამ, ჰო, ბ-ნ კაერემენსაც აქვს თავისი საზომი ამ ახალი დასისთვის და ეს საზომი გახლავთ ზევსის მიერ ხშირათ გამართული მდიდრული სუფრა, სადაც მთელი „მეგუნდრუკეთა“ რაზმი, კახურით შუბლ გახურებული, გადაუხსნის მოწყალე ზევს გულსა და „ქვეყნის ბურჯათ“ ადღეგრძელებს. ნუ თუ ეს საზომათ არა კმარა? ვინც თავის უქვეშევრდომელეს გრძნობას ასე ფეხთქვეშ არ გაუშლის მამა ზევს და იმისაგან ლოცვა-კურთხევას არ მიიღებს, იმას განა ნება აქვს საზოგადო მოღვაწეობაზე იფიქროს? კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ ახალმა დასმა თავისი თავხედი ქცევით დაიმსახურა მეხ-მტყორცნი ზევსის წყრომა და ღირსეული სასჯელიც მიიღო: აღიხოცე პირისაგან ქვეყნისაო, ბრძანა ზევსმა და ახალი დასიც გაჰქრა!.. „არ არის კარგი ასეთი „საკენკის დაყრა“ და „მეგუნდრუკეთა“ რაზმის გამრავლება მაშინ, როდესაც ხალხსა და ქვეყანას ექიმი ეჭირვება; დიდი უნამუსობაა მუქთა-ხორების რჩენა საზოგადოების ოფლის მონაგარით, როცა იმავე საზოგადოებას შიმშილით ფერდი-ფერდს მიკვრია“. აი, ასეთი სიტყვებით მიმართა ახალმა დასმა თვითონ ზევსს და ღირსეული სასჯელიც მიიღო...

„ძველებს კარგათ ჰქონდათ შეგნებული, გარკვეული თავისი მოქმედების საგანი და თამამათ გაუმკლავდენ მტერს—ბატონ-ყმობის ჩირქსაო“— ბრძანებს ბ-ნი კაერემენი. მერე რა შედეგი მოგვცა ამან?

ნუ თუ მართლა ეს იმას ნიშნავს, რომ „ჩვენი ძველი მოღვაწეები, რომელთაც კარგათ ჰქონდათ შეგნებული თავისი მოქმედების საგანი, გაუმკლავდენ ძველს, წოდებრივს ტრადიციებს და ორთა წოდებათა ინტერესები ერთ ფიცარზე, ერთ საფეხურზე დააყენეს“ (ჩვენ აქ უფრო ეკონომიური მხარე გვაქვს სახეში)?.. შაქარი თქვენს პირს, ბ-ნო კაერემენ, მაგრამ „ხე ნაყოფით გამოიცნობაო“—იტყვიან ჩვენში და ჩვენც ამ ზოგმა ჩვენმა ძლიერმა ინტე-

ლიგენტ-მეთაურების მისწრაფებამ, სურვილმა,, სულ სხვა ნაყოფი მოგვცა; იმათ სულ სხვა გზას გაუტიეს. მართალია ბევრი ჩვენი ინტელიგენტთ-მეთაურთაგანი ძველათ კარგი მოძღვრები იყვენ, მაგრამ დღეს იმათმა უმეტესობამ განა თვითონვე არ უღალატა თავის მოძღვრებას? მათი მოძღვრება ანგელოზივით წმინდა და უცოდველი იყო მანამდის, სანამ ზოგს როტშილდის მილიონებმა არ აუბეს თვალი და ზოგსაც ,,საზოგადოების ხაჭაპურებმა‘‘. ბევრს იმათგანზე შეიძლება დღეს პოეტთან ერთად ითქვას ლექსათ: ,,ძველი აღთქმა ქებული აქვთ მათ დავიწყებული და ღმერთათ გაუხდიათ მხოლოთ ფული და ფული“... აბა, სანიმუშოთ ავიღოთ და გავარჩიოთ ბ-ნ ნიკოლაძის ერთი წერილის ზოგი ადგილები და დავინახავთ, თუ რაოდენათ უმკლავდება ის ,,ბატონ-ყმობის ჩირქს‘‘. დიაღ, გავარჩიოთ წერილი იმ ნიკოლაძისა, რომელიც ,,ივერიის‘‘ სიტყვით, ელექტრონის მანქანასავით ნაპერწკლებს ისვრის და სწვავს ქოსას, თუ თეთრათ გაჩირაღდნებულ ლიტერატორებს“.;

აბა, ავიღოთ ბ-ნ ნიკოლაძის წერილის რამდენიმე ალაგი და ბ-ნ კაერემენის ,,თვალთა ხედვის ისრით გავზომ-გავწონოთ‘‘:

,,იმ აზრით, რომელიც დღეს რუსეთში სუფევს, ყოვლად სასურველი და საჭირო საქმეა თავად-აზნაურობის ფეხზე წამოყენება და გაძლიერება—ვკითხულობთ ბ-ნ ნიკოლაძის წერილში—მთავრობა ახლა არაფერს საშუალებას არ ზოგავს, ოღონდ კი როგორმე დაეხმაროს აზნაურობას.. რაც კი მოხერხდება ნატრულობენ და ცდილობენ აზნაურობას ნივთიერი მდგომარეობა გაუუმჯობესონ. ვალები შეუმსუბუქეს, იაფი კრედიტი დაუარსეს, პოლიტიკური გავლენა მოუმატეს, ადგილობრივი პოლიცია ერთიანათ იმას ჩააბარეს და სხვა და სხვა... სრული მეცადინეობა იმაზეა მიქცეული, რომ აზნაურობას თავისი რჩენა მაინც შეეძლოს, თავისი შვილების გამოზდის საშუალება მაინც ჰქონდეს‘‘-ო და ამას შემდეგ ბ-ნი ნიკოლაძე კიდეც ურჩევს თავად-აზნაურობას, ყველა ამ მთავრობისაგან მინიჭებული უპირატესობით დროზე ისარგებლეთო.

ახლა შევუფარდოთ ამას, ბ-ნო კაერემენ, თქვენი სიტყვები:—,,ძველებს კარგათ ჰქონდათ შეგნებული, გარკვეული თავისი მოქმედების საგანი და თამამათ გაუმკლავდენ მტერს—ბატონ-ყმობის ჩირქს‘‘.

ნუ თუ ეს ბ-ნი ნიკოლაძის მიერ ჩამოთვლილი უპირატესობა, რომელიც მთავრობას უკვე მიუნიჭებია თავად-აზნაურობისათვის, იგივე ბიტონყმობა და თუ გინდათ ,,ბატონ-ყმობის ჩირქი‘‘ არ არის? თუ კაპიტალი, ადმინისტრაცია, გავლენა, ვალების შემსუბუქება, იაფი კრედიტი, ყველა ეს უპირატესობა თავად-აზნაურობას ექნება, გლეხი რაღა იქნება, თუ არა პლორეტარი, თუ არა იგივე ბატონყმობის მძიმე უღელ ქვეშ ქედ-მოხრილი საბატონი ყმა? ნუ თუ ბ-ნ ნიკოლაძემ არ იცის, რომ ეს ერთი წოდებისთვის მინიჭებული უპირატესობა, მეორე წოდებას აკლდება? ნუ თუ არ იცის, რომ ასეთი ყურადღება ერთი რომელიმე წოდებისადმი, მეორე წოდების დაცემას და დაქვეითებას გამოიწვევს? ნუ თუ ბ-ნ ნიკოლაძემ არ იცის, რომ ერთი რომელიმე წოდების ამაღლებით ირღვევა წოდებათა შორის ბუნებით დადგენილი ურთიერთობა და უფრო ღარიბი წოდება ქარწყლდება?

დიაღ, ბ-ნო კაერემენ, პატივცემულმა პუბლიცისტმა ჩვენზე კარგათ იცის ეს, იცის, რომ ყოველი ეს უპირატესობა იგივე თქვენ მიერ ,,ბატონყმობის ჩირქათ‘‘ აღსარებული მოვლენა გახლავთ, მაგრამ გამკლავების მაგიერათ ის კიდეც ქადაგებს ,,ისარგებლეთ, სანამ დრონი თქვენია, თვარა ეს უპირატესობა დღეს თუ არა, ხვალ ხელიდან გაგიფრინდებათო‘‘. აბა, სად ხედავთ აქ ბრძოლას და ,,ბატონყმობის ჩირქის გამკლავებას?..‘‘

ბ-ნ კაერემენს ისეთი მარტივი ტერმინები, როგორც არიან „წოდება“ და „ნაცია“ გაუალ ტყეთ მიაჩნია. ნუ თუ ნაციის მაგიერობას გასწევს ის წოდება, რომელიც ფაქტიკურათ კანონმა კიდეც გააუქმა და ცხოვრებამაც თვის მსვლელობაში, დიდი ხანია, უარყო.

თავად-აზნაურობას, როგორც მეთაურს წოდებას ოდესმე ერის წინამძღოლს და სამშობლოს დამცველს, დიდიხანია გამოეცალა ხელიდან ეს მნიშვნელობა. მან თვითონ უარყო თავის თავი იმ დღიდან, როცა იგი პარტიებათ დაიყო, ქვეყნის აოხრებას შეუდგა და მოიწვია გარეშე ძალა მშვიდობიანობის დასამყარებლათ. ამ დროიდან მას გამოეცალა ხელიდან ქვეყნის მზრუნველობა. ამიერიდან იგი გახდა გარეშე ძალის მოსამსახურე და მის ხელში შემჩერებელი. ამ მდგომარეობაში მას მოუსწრო მსოფლიო განათლებამ და დაამყარა კაცთა-შორის თანასწორობის უფლება. ამ დღიდან წოდებრივ უპირატესობას, პრივილეგიას ანდერძი და წესი აეგო. დღეს ყველანი კანონისა და გარეშე ძალის წინაშე თანასწორნი შეიქნენ ამ ცხოვრების სარბიელზე. დღეს ვინც უფრო ნიჭიერია, უფრო მშრომელია და განათლების მიმდევარი, ბურთი და მოედანიც მისია. ამ მდგომარეობაში წოდებრივი უპირატესობის ძიება სამარეში ჩასვლას და იქ მკვდრების აყენებას მოგვაგონებს. დღეს ფაქტიურათ წოდებანი კი აღარ

არიან, არამედ მდიდარნი და ღარიბნი. დღეს ღარიბი აზნაური და ღარიბი თავადი ღარიბ გლეხობას გვერდში ამოგდომია; ხოლო მდიდარი გლეხები, ვაჭრობის სახელწოდებით, მდიდარ თავად-აზნაურობასთან ერთათ არიან. ახლა ამათ შორის იბადება ბრძოლა. აი, აქ არის დაბურდული კვანძი ჩვენი ცხოვრების ვითარებისა. ჩვენი საგანი უნდა იყოს დღეს ერი და არა რომელიმე წოდება, ჩვენი საპატრონო უნდა იყოს საქართველოს ტომის უმრავლესობა, რომელიც არის ჩავარდნილი სისაწყლეში და სიღარიბეში და არა უმცირესობა. ვინც ფეხზე დამდგარია, იმას რაღა შესაყენებელი ბურჯი ეჭირვება უპირატესობის სახელით. „საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია. აი, როცა ჩვენ ამ დაჩაგრულების უმრავლესობის მხარეს დავიჭერთ, უმცირესობის ბედიც აქ გაუმჯობესდება. მაშასადამე უპირატესობის ძიებას კი არ უნდა გამოუდგეთ, არამედ ერის გათახსირებული უმრავლესობის ნაწილს უნდა მივეშველოთ და ამაში უნდა ვხედავდეთ მთელი ერის საკეთილდღეო წარმატებას.

ნუ თუ გგონიათ, ბ-ნო კაერემენო, რომ „ჩვენის დროის რაინდი“ იმიტომ გამოხატა განსვენებულმა ნინოშვილმა, რომ „ჩატეხილი ხიდი“-ს დამტკიცება ნდომოდეს? თუ ასეა, რატომ ნიჭიერმა ბელეტრისტმა ყველა თავისი გმირები, „მოსე მწერალი“, „დავით დროიძე“ და სხვანი თავად-აზნაურობიდან არ გამოიყვანა?.. ვინ არის „მოსე მწერალი“?—გაკეთებული გლეხი. აბა, დააკვირდით, თუ ის ტარიელზე ნაკლებ ზიანს აძლევს სპირდონისთანა პატიოსან კაცს? ვინ არის დავით დროიძე?— გამდიდრებული გლეხი. აბა, დააკვირდით, თუ ეს ტარიელზე ნაკლებათ აზიანებს საზოგადოებას. მაშასადამე მარტო „ტარიელის“ ხელზე დახვევა და მით მტკიცება, რომ „თვითონ ამ მესამე დასის წინამძღოლი და გზის გამკვლევი“ (კურსივი კაერემენის არის) ვითომ იმას ქადაგებს, რომ „ხიდი ჩატეხილიაო“ მეტი რაღა არის, თუ არა მტკნარი შეცდომა? დღეს ხიდი ჩატეხილი თუ არის, მხოლოთ საწყლებსა და მდიდრებს შორის არის. აქ არის ნამდვილი საზრიანი განხეთქილება, როგორც ეს მტკიცდება ბანკების კრებებში. „ივერიის“ გაზეთმა აიღო ბაირაღი და დაუწყო დევნა წვრილ-ფეხა შეუძლო აზნაურობას, იმ აზნაურობას, რომელიც დღეს გლეხთან ერთათ კიდეც ვაჭრობს, კიდეც მეურნეობს, ჭირში და ლხინში მასთან არის; ხოლო გამდიდრებული ნაწილი ღერენალ-თავად-აზნაურობისა განშორდა და ცალკე დადგა „ივერიის“ მეთაურობით. „მესამე დასი“ კი გასაწყლებულ უმრავლესობას ემხრობა და ამათში ჰპოვებს საქართველოს ბედნიერების ნიშან-წყალს. მას ყოველი შეძენილი უპირატესობა ერის უმცირესი ნაწილისა ქვეყნის მავნებლათ და გასაწყლებულ უმრავლესობის დამჩაგვრელათ მიაჩნია. აი, აქ განსხვავდება არსებითათ მიმართულება „კვალისა“ იმ მიმართულებისაგან, რომელსაც ადგია შეერთებული ძალა „ივერია“-მოამბისა“. ჩვენ გვიჭირავს გასაწყლებულ უმრავლესობის მხარე, თქვენ კი კეთილმდგომარეობის მეძიებელი ბობოლაებისა, როგორც ეს ცხადათ მტკიცდება „ივერიის“ და „მოამბის“ სტატიებში, საცა ქვეყნის დამღუპველი უპირატესობის მოპოებას მეცადინეობენ უმცირესობისათვის ნ. ნიკოლაძის სტატიები და მეველეს მეთაური წერილები. ტყუილათ დაგიკარგავთ, ბ-ნო კაერემენ, იმედი, ტყუილათ ჩამოგიფარებიათ პირზე ნიღაბი სასოწარკვეთილი უნუგეშო ჭირისუფლისა. გრწამდესთ, რომ, თქვენმიერ ახირებულ „ცხოვრების მიმდინარეობას“ ვერ შეაფერხებს ვერავისი სათაკილო და თვით სასირცხვო სურვილი, ვერც „არჩილისა“ და იმისი პატივცემული ავტორის „ხიდი ჩატეხილიას“ ძახილი. მსოფლიო გათანასწორების ევოლიუციას ვერაფერი წინ ვერ დაუდგება. გულს ნუ გაიტეხთ! დღეს თვითონ თავად-აზნაურობამ ჩვენზე კარგათ იცის, რომ ყოველი ეს ნიკოლაძისმიერ ჩამოთვლილი უპირატესობა წუთიერია და წარმავალი. დღეს არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოს, რომ იაფი კრედიტი, ვალების შემსუბუქება და სხვა უპირატესობა უმცირესობისა თავის ისეთი „კოტოშია“, რომელიც დრო და ჟამისაგან გაუქმებულს ერთს რომელსამე წოდებას ველარ მოარჩენს... ამით ვათავებ ბ-ნო კაერემენ თქვენთან საუბარს. დროა ბ-ნ ა. ნ—ლსაც გავცეთ შესაფერი პასუხი.

**ყარიბი**

* * *

კვლავ მარტო ვიხდი დღეობას,
სამშობლოს მოშორებული,
ჩანგურს ვაკვნესებ მწარედა
და ვმღერი დაღონებული:

„წელი-წელს მიდევს, თან მიაქვს
ჩემი სიცოცხლის ძალაო;
არც კი გავსილა ფიალა
და უკვე დაიცალაო!..
„რომ სიჭაბუკეც ვერ იგრძნო,
ისე „მოხუცდა“ გულიო;

ძარღვებში სისხლი შეჩერდა,
უდროოთ გაყინულიო.

,,გონება ველარ ნავარდობს,
თითქო ფრთა შეჰკრეს არწივსო;
გრძნობა მოუცავს რაღაც ძალს,
ხან ცეცხლივით მწველს, ხან ცივსო.

,,არც ცოცხალს ვგავარ, არცა მკვდარს,
სულითა დაცემულიო;
არც ამ სოფლის ვარ, არც იმის.
ყველასთვის დაკარგულიო!

,,ვაი იმ კაცსა, უბედურს,
მის ყოფნას და ცხოვრებასო!
ვინც მოკლებია სამუდმოთ
რწმენას და სასოებასო.

,,ვისაც ჯერ ისევ აკვანში
გაჰქვავებია გულიო,
არ ძალუძს არც სიძულვილი
და აღარც სიყვარულიო!..

,,წელი-წელს მიდევს სისწრაფით,
მიაქვს სიცოცხლის ძალაო:
არც კი გავსილა ფიალა
და უკვე დაიცალაო!...“

დუტუ მეგრელი

ქ. ოლთისი

## საყურადღებო ამბები

ქორწილი ხელმწიფე იმპერატორისა და დიდი მთავრინასი ალექსანდრა თეოდორეს ასულისა მოხდება საზამთრო სასახლეში. ქორწილზე დაესწრებიან მეფენი: დანიისა და საბერძნეთისა: პრინცები: ვალისისა (ინგლისის ტახტის მემკვიდრე), რუმინიისა, დანიისა ბადენიისა, საბერძნეთისა და პრუსიისა—გენრიხი.

***

ტფილისის სახელმწიფო თეატრში წაიკითხავს ცნობილი პედაგოგი ი. პ. როსტომაშვილი კვირას, 13-ს ნოემბერს, ლექციას შემდეგი სათაურით „ახალი სამოსწავლო კითხვები და აზრები. რადგანაც საგანი ძლიან საინტერესოა, ნამეტურ ჩვენ ბედში მყოფ საზოგადოებისთვის, სადა ბუნებითი მიმართულება ჩვენი შკოლებისა მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია და დიდი მოვალეობა ადევს კისრათ ჩვენ საზოგადოებას დაეხმაროს ასეთი მდგომარეობის გაუმჯობესობას. ამისთვის იმედია, ჩვენი საზოგადოება უყურადღებოთ არ დაავდებს ამ ლექციას. ლექციის კითხვა დაიწყება საღამოს რვა საათზე.

***

მოსკოვი. ამ უსტართან გაახლებთ ნაძლევში წაგებ-მოგებულ შვიდ მანეთს. გთხოვთ, ექვსი მანეთი მიიღოთ ორცალ „ჯეჯილის“ დასაკვეთათ და უგზავნოთ მომავალ ჩ.უ.ქ.ე. წლის განმაველობაში ორ ღარიბ სასოფლო სასწავლებელს, დანარჩენი მანეთიც მცირეოდენ წვლილათ იაფფასიან სახალხო წიგნაკების გამოსაცემათ შემოგვიწირავს. იმედია, მკითხველი ამ გამოცხადებას თავის მოწონებათ არ ჩამოგვართმევს, არამედ მიითვლის ამ ამბავს იმ თანაგრძნობის მკრთალ გამომჟღავნებათ, რომლითაც სავსე არის ჩვენი გული ზემოთმოხსენებულ და აგრეთვე სხვა მის მზგავსათვე ჩვენთვის სანუკვარ საქმეთა დახმარება წარმატებისადმი.

კოტე ქუთათელი, ბრილელი სანდრო, ვახტანგ -პაატა, ნესტორ ე. საჯავახელი.

***

ქუთაისი. ქუთაისის ხელოსნები დურგლებ-შეგირდებიანა 1200-დინ ვირიცხებით და ამათ შორის შეიძლება ათი ამოირჩეს, ვინც ეწყობა ჟურნალ-გაზეთების და წიგნების კითხვას. ზოგიერთი „არსენას ლექსით“ იქცევს თავს და ზოგი აზირა... ახპატელოვის თხზულებით. არ იქნება ურიგო, რომ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ხელოსანთა წინამძღოლმა ბ-ნ კანდელაკმა და გამოიტანოს ნებართვა ,,უფასო სამკითხველოს“ გასახსნელათ, რომ ყოველს ხელოსანს შეეძლოს უფასოთ, თავისუფალს დროს, წიგნის წაკითხვა, რომ აცილდენ უმნიშვნელო ახპატელოვების უსარგებლო თხზულების კითხვას და მის ნაცვლათ შეგვეძლოს განვითარება ჩვენის ძვირფასის მწერლების თხზულებებით.

რა თქმა უნდა, ამისთანა კეთილ-საქმისთვის ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიც დაუთმობენ სამკითხველოს თავიანთ გამოცემავებს. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც არ დაზოგავს შემწეობის აღმოჩენას. იმედია, ჩვენს ხელოსნებშიაც ამოჩნდება ისეთი გულწრფელი პირები, რომ ან ფულის შეწირვით და ან სხვა რაიმე ნივთით არ დაიხევენ უკან ხელის გამართვას. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ხელოსანთა წინამძღოლი ბ-ნი კანდელაკი,

„მთელ დედამიწის ზურგზე, სადა კი არსებობს არჩევნები, ყველგან არის პარტიობა და არას დროს არ მოდევს ხოლმე ის სამწუხარო შედეგი, რომელიც მოჰყვა ჩვენ არჩევნებს. რას მივაწეროთ ეს? ჩვენ ხამობას, ჩვენს ავ კაცობას, თუ ჩვენს გაუნათლებლობას? საერთო საქმეს მოუვა პირადი მძულვარება და ზოგიერთი იქამდის მივიდა, რომ რითაც დღემდის თავი მოგვქონდა, გადააქცია ჩალის ფასათ... მაგრამ რაიცა შეეხება იმ ღვთაებრივ ნიჭს, რომლითაც აკაკი არის დაჯილდოებული, ამას არამც თუ ვერ წაართმევთ, თქვენი მთელი ენის გესლიც რომ წაალესოთ იმის ნაწარმოებს, ოდნავათაც ვერ შეამცირებთ... ვთქვათ, უცხოელი ვინმე შემოგვეკითხა ჩვენს ლიტერატურაზე და გვითხრა: მაჩვენეთ საუკეთესო ნაწარმოები თქვენის ლიტერატურისაო. რა წარვუდგინოთ, „თამარ დაზნელი“, თუ „თორნიკე ერისთავი“, „მაცი ხვიტია“ თუ „თამარ ცბიერი“. მაგრამ ასეთი კითხვა კერძოთ ანტ. ფურცელაძეს არ შეეხება, არამედ ყველა იმათ, ვის აზრსაც ის იმეორებს.“

„აკაკის უნდა ბანკიდან გამომაძევოსო, ბძანებს ანტონ ფურცელაძე— და ულუკმაპუროთ დამტოვოსო. ხომ არა გგონია, ბ-ნო ფურცელაძე, რომ აკაკის უნდა თქვენი გაძევება და თქვენი ალაგის დაჭერა. უკაცრავათ, აკაკი არ შეჰყურებს ბანკს, როგორც კატა მეხვს, რასაც ჰჩადიან ზოგიერთი ჩვენი ყმაწვილ-კაცები, ეს ჩვენი იმედი ვითომც ახალი თაობა“.



დარიალის ხეობა

***

ქუთაისის გუბერნიიდან იწერება გიორგი ყიფიანი სხვათა შორის შემდეგს:

პატივსაცემია ის კაცი, რომელიც ღირსეულათ აფასებს, როგორც თავის მოძმის ღვაწლს და შრომას, ისე თვით იმავე სასარგებლო მუშას და მოღვაწეს, რომელიც იმ დროს, როდესაც სხვები სიამოვნებით უდარდელათ დროს ატარებენ, ის საყვარელ თავის სამშობლოს ნაკლულევანებაზე ტირის და იღვწის, აფხიზლებს თავის მოძმეებს, რომ ძილს არ მიეცენ და მასთან ერთათ დაუღალავათ სწიონ შრომის უღელი. ამ ნაირ მუშათაგანს უფრო ეკუთვნის ჩვენი პატივცემული პოეტი აკაკი, რომელიც გრძნობიარე, ცხოველი და გამომაფხიზლებელი ლექსებით აფხიზლებს და ამხნევებს ახალ-თაობას, რომ შეუფერხებლათ და უფრო ძალუმათ შეეჭიდოს ქვეყნის მძლავრ ტალღებს. აკაკის ლექსებს გარდა ამ ზემოთ თქმულ თვისებათა, მეორე უფრო შესამჩნევი და პოეტის ამამაღლებელი თვისება აქვს: ძლიერ ადვილათ გასაგებ და ლამაზ ქართულ ენაზე არიან ხელოვნურათ აგებული და გაწყობილი რითმებით. ამ თვისებამ მდაბალი ხალხი მაგნიტურათ მიიზიდა და შეაყვარა პოეტი. ახლა თვალი გადავავლოთ ჩვენ განათლებულ ზოგიერთ კრიტიკოსებს და შევიტყოთ, დაანახვეს თუ არა, გააგებინეს უსწავლელთ ამ მწერლის მნიშვნელობა, გადუშალეს მის ნაშრომს გული, ჩასწვდინეს და აუხსნეს, თუ გაასინჯვინეს კიცხვის წერილებით? აი, მაგალითათ ავიღოთ ხელში „ივერიის“ № 235, რომელშიაც მოთავსებულია ფელეტონი შემდეგი სათაურით: „ბაკების მოძღვრების ავტორს“, რომლის ავტორიც ანტონ ფურცელაძე არ არის უსარგებლო კაცი და უნიჭო მწერალი: „აბა, ჩემო ჯოხის ცხენა, რა ძნელია, როდესაც კაცს თავში ჩაბერილი უშნო შაირების მეტი არა შერჩენია რა“ო!! ეს სიტყვებიც კმარა გონიერი მკითხველისთვის, თუ მასთანავე აკაკის თხზულებანი კარგათ გაცნობილი აქვს, რომ ანტონის ნიჭი დააფასოს. ნუთუ მან ისეთ უგუნურათ ჩაგვაგდო მკითხველები, რომ მის დამახინჯებულ პოლემიკას სიცრუეს ვერ გავუგებდით და მის ყურმოჭრილ მონათ გაუხდებოდით? ან კიდევ ეს ადგილი პოლემიკისა წაიკითხეთ: „აბა, ჩემო ჯოხის ცხენაო“—ეუბნება იგი აკაკის და მერე განაგრძობს: „აკაკიმ ჩემი მირთმეული წკეპლები შეაგნატუნა“ო და რაკი მე ვეღარა დამაკლო რა, სწვდა, ჩემს თამარ დაზნელს“ო. ბატონო ანტონ მაგას მაინც რაღა თქმა უნდოდა, რომ თქვენისთანა გონიერს და ძლიერს „უშნო“ შაირების მთხზველი ვერასფერს დააკლებდა?! ბევრჯელ ელაპარაკეთ თურმე, როგორც ჩანს, მაგრამ ჯინიანი ყოფილა, თქვენი არაფერი შეუგნია და მაინც თავისას შვრება!!. „სასაქმებელი ხომ მიაღებინეთ“ და აღარა დარჩენილა რა, მეტი, რაღა გინდათ?

***

ქართველი ხელოსნების წერილი საერთოთ აკაკისთან ლალადებს შემდეგს:

ღრმათ პატივცემულო ბ-ნო აკაკი, ჯერ ბოდიშს მოვიხდით თქვენთან, რომ ასე გავკადნიერდით და ვბედავთ თქვენთან ამნაირ წერილის მოწერას, მაგრამ იძულებულნი ვართ, რაც გულში გვაქვს, აღვიაროთ

თქვენს წინაშე, როგორც ჩვენ დამრიგებელ და საყვარელ მამასთან.

„...რათ კადრულობთ თითქმის თქვენთვის უცნობ ს—გზე ასე ქება-დიდებას, ან ანტონ ფურცელაძესთან კამათობას? განა ეგენი ღირსნი არიან თქვენის ყურადღებისა. სწორეთ მოგახსენოთ, ეს მცირე წერილი გამოიწვია გუშინდელმა თქვენმა მესტვირულმა ლექსმა ანტონთან. აფსუს, რომ თქვენ ოქროს დროს და ნიჭს მაგისთანა რამეებზე ხარჯავთ. კიდევ გემუდარებით, ისევ ის აკაკი იყავით ჩვენში, რაც აქამდი ბძანდებოდით და მით ვიქნებით ჩვენცა და ჩვენი საქართველოც ბედნიერი.

გწერთ ქართველი ხელოსნები და კიდევ ბოდიშს ვიხდით კადნიერებისთვის. 4 ნოემბერი.

* * *

ოზურგეთი. ორს გიორგობისთვეს იქაური მეთვალყურე იწერება შემდეგს:

დაიბადა და გამოვიდა ნორჩი ნახატებიანი გაზეთი „კვალი“ თუ არა იმ წამშივე კბილის მატლათ გაუჩნდა ჩვენი ერთად-ერთი დღიური გაზეთი „ივერია“ და მთელი ოთხი თვის განმავლობაში „ივერიის“ ბურჯებმა სამასხაროთ და საქირდ-საკილავათ აიღეს ნამდვილი ქართული სახელი „ხატი“ „ნახატი“ და სხ... რა ოხუნჯობა არ გამოიჩინეს იმ დროის გაზეთ „ივერიის“ გმირ-თანამშრომლებმა და დღეს, იმავე გაზეთ „ივერიის“ რედაქციისაგან დაწუნებულებმა: „პეტრიამ და „ადიკომ“, დიოგენ-ფარნაოზ-მენავეებმა“ და სხვ..

დაისვიეს თითზე სიტყვა „ნახატი“ და ყოველ დღე, გადაშლიდი თუ არა, „ივერიას“, შეხვდებოდი მხოლოთ ამ სიტყვებზე ბაასს და კილვას! შემდეგ უშველოს ღმერთმა გრიგოლ ვოლსკის, როგორც იქნა ამოაკვეთია „ივერიის“ ბურჯებს ენა და ისიც გამოირკვა, რომ სიტყვა ნახატი ნამდვილი ქართული სიტყვაა, და დიდათ შეფერებული, რასაც ეწოდება ეს სახელი. წელს ისეთი დიდი შეცდომისთვის, როგორიც არის „გალიარებ“ პატარა შენიშვნა მიცა ბ-ნ სიმონიძეს, ჩვენმა სახელოვანმა და საყვარელმა პოეტმა აკაკიმ. ამას შემდეგ რამდენი ფელეტონები წერა თავის გასამართლებლათ რამდენი რა უწმაწური სიტყვები დახარჯა ი. სიმონიძემ, ეს მკითხველსაც კარგათ ეხსომება და საჭიროთაც არ მიმაჩნია იმისი მოყვანა. მხოლოთ გვაღონებს ის გარემოება და საერთო სამწუხაროთ მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი ჯაყ-ბატონები დაიწყებენ წერას და აღარ ათავებენ. ნუ თუ ვერ მიმხვდარან, ნუ თუ ჯერაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ გაზეთის, გარდა იმის მოკამათისა, სხვაც ჰყავს მკითხველი, რომელიც ამოდენი ფელეტონები და ამოდენი გაჭიანურებული უბრალო და უსაბუთო აბდა-უბდის კითხვით იტანჯება და გაზეთის კითხვასაც სრულიათ თავს ანებებს?!.. ან თუ რომელიმე მკითხველი მოცლილია და კითხულობს, ბევრი უვიცი კიდეც დაიჯერებს, რომ უთუოთ გამტყუნდა აკაკი, თვარა რისთვის არის, რომ ბ-ნი ი. სიმონიძე ამდენ „რეჩებს“ ამბობს და აკაკი გაჩუმებული, ხმა გაკმენდილიაო. აი, ამ შეცდომის და ამგვარი გარემოების მეთვალყურემ ავიღე ხელში კალამი, რომ რაც თვალყური ვადევნე და გავიგონე ამ საგნის შესახებ, მთელ საქართველოს ქალაქებში, და კერძოთ გურიაში, მკითხველს გაუზიარო. გურიაში-მეთქი ვამბობ, იმიტომ, რომ ბ-ნ სიმონიძემ გურიას წამოავლო ხელი, რომ გურიაშიც ასე ხმარობენ, როგორც ერეკლე რამიშვილმა მითხრაო, მხოლოთ გურულები აკაკის ხათრიზა არაფერს ამბობენ და სხვ... ერთათ მე თუმცა ბ-ნი ი. სიმონიძის დიდი პატივისმცემელი ვარ, დიდათ მესათრებ მისი, მაგრამ იმისთვის, რომ ბ-ნი ი. სიმონიძის პატივისმცემელი ვიყო და გინდ აკაკისაც, არაოდეს სიმართლეს გვერდს არ ავუხვევ: მართალია ერეკლე რამიშვილს მოუხსენებია ბ-ნი ი. სიმონიძისთვის, რომ გურიაში ისე ხმარობენო, როგორც თქვენ ხმარობთო და გურულები თუ არ ამბობენ, აკაკისი ეხათრებათო და სხ... მაგრამ ეგ ჩემის აზრით არ ცოდნია ბ-ნ რამიშვილს გურიაში, ვინ რას ხმარობს და ი. სიმონიძესი მოხათრებია და უთქვამს პირმოთნეობით, გამართლებული შენ ხარო. მხოლოთ არც ის არის გასაკვირალი, რომ ერ. რამიშვილმა გურიაში რას ლაპარაკობენ, ის არ იცოდეს, რადგან ის ერეკლე რამიშვილი პატარაობიდანვე დამოკიდებული სულ სხვა-და-სხვა ქვეყნებში აღიზარდა და დღესაც გურიაზე მოცილებით გორში ცხოვრობს, აგერ თუთხმეტი წელიწადია. მაგრამ ყოველს შემთხვევაში ბ-ნს ერეკლეს სამზღვარზე გადაუხვევია, როცა ამბობს, რომ გურიაში ასე ამბობენ, მაგრამ აკაკისი ეხათრებათ და არას ამბობენო. გურულებზე ასეთი საქციელი, რომელიც გურულებს მიწასთან ასწორებს, ჯერ კაცს არ შეუწამებია და ნუ თუ მარტო ერეკლე რამიშვილმა დაინახა გურულების ასეთი სულის სიმდაბლე. როცა საზოგადო საქმეზე კამათია აღძრული, აქ პირადობა რა შუაშია. მაშასადამე დამტკიცებული აზრები, რომ გურულები პირ და-პირი ხალხია, გურულებს პირში თქმა უყვარს და არას გზით პირში სათქმელს პირს უკან არ იტყვის, ყველა ნაკლულევანებას პირში გამხელს და სხ... სიცრუე ყოფილა. უკეთუ ბ-ნი ი. სიმონიძე დამეთანხმება, მისებურათ არ გაწიწმატდება და ერთობ დიდრონ წერილებით თავს არ შეგვაწყენს, მოვახსენებთ. რომ გურიაში, ვისაც „ივერიის“ გარდა სხვა რამ წაუკითხავს, ვინც „დედა-ენასა“ და „ბუნების

როგორც შეგნებული კაცი, განახორციელებს ამ სამუდამოთ დაუვიწყარ კეთილ საქმეს და მომავალი წლისთვის გაგვიჩაღებს სამკითხველოს სახელოსნო გამგეობის დარბაზშივე.

ერთი ხელოსანთაგანი ფ. მ. ხელაძე

***

თბილისი. გიგზავნით ჩემ მიერ შეგროვილ თერთმეტ მანეთს ფულს და ამასთანავე შემომწირველთა სიას. გთხოვთ, გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალ „კვალში". ნათქვამია: ,,სულ არაობას ცოტაც კარგიაო". ეს ფული გთხოვთ გადასცეთ ქუთაისის ქართული თეატრის ასადგენათ.

ვაჭარმა სამსონ წერეთელმა—3 მ., ანდრია პეტრესძე ლეჟავამ—1 მ., თერძმა ივანე სხირტლაძემ—1 მ., იოსებ გველესიანმა—1 მ., ვასილ კირვალიძემ—3 მ., თადეოზ კერესელიძემ—20 კ., ნესტორ კირვალიძემ—20 კ., ვაჭარმა დიმიტრი ყიფიანმა—20 კ., ლუკა ლებანიძემ—20 კ., სპირიდონ არჩვაძემ—40 კ., დიმიტრი კერესელიძემ--20 კ., იაკობ ობოლაძემ—20 კ., მაკარა აფრისოვმა—20 კაპ., გერასიმე თვალჭრელიძემ—20 კ.

ვასილ კირვალაძე

***

ს. პატარა ლილო (თფილისის მაზრა). ამ ჩვენ პატარა სოფელში დიდი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა წარსულ ღვინობისთვეში; ჩვენც არ დაგვაგდო იმ წყეულმა სნეულებამ უყურადღებოთ და გამოგვიკეტა საუკუნოთ ორი კომლი კაცის კარები. ჯერ თვითონ პატარა ლილოში ითვლება სულ 37 მოსახლობა და ამ მცირე რიცხვს დაგვაკლდა ორი კომლი (მოსახლობა), რომლების სახლის კარებზე დღესაც კლიტეა დადებული. 18 ღვინობისთვეში ერთმა აქაურმა გლეხმა ალექსანდრე ბიბილაურმა წაიღო ქალაქის წისქვილში პური დასაფქვავათ. გამობრუნდა თუ არა შინისკენ, გზაში აუარდა თურმე საშინელი მუცლის ტკივილი. მივიდა თუ არა შინ, დააწყებინა აგრეთვე გულის რევა, ფაღარათობა. და მეორე დღეს თქვენი ჭირი წაიღო. მას შემდგე გახდა ავათ მისი ძმა ივანე, მერე დედა, რძალი, რომლებიც დაიხოცენ სულ ერთიანათ სამი დღის განმავლობაში. ხალხმა ეჭვი აიღო და აცნობეს ბ. თფილისის მაზრის ექიმს სულხანოვს. ბ. მაზრის ექიმი მობძანდა, მაშინვე გამოიძია ყველაფერი თითოულათ და ბოლოს შეამოწმა, რომ ნამდვილათ ხოლერით ყოფილან დახოცილები და ალექ. ბიბილაურს ქალაქიდან მოყოლია ეს სნეულებაო. ბ. ექიმმა, სახლში, სადაც იყვენ მკვდრები დეზინფექცია მოახდინა, აგრეთვე ქვეშაგებზე და ტან-საცმელზე წამლები დაასხა. უბძანა, რომ ან ესენი ნაცარ-წყალში გამოეხარშათ, და თანაც სახლები დააკეტვინა, რომ ორი კვირის განმავლობაში მაინც არ შესულიყვენ.

მას აქეთ ჯერ ღვთის იმედით, არაფერი ყოფილა.

სხვათაშორის ამ სოფელში დიდი გაჭირვებაა ხოლმე უსახლობის გამო. აქ თითქმის ერთ რიგიან კაცს არ შეუძლია ღამე გაითენოს, მთელს ამ სოფელში ერთათ-ერთი სახლია დედამიწის ზემოთ აშენებული, სხვა კი, როგორც აქაური გლეხ-კაცის წესი და ადათია მიწასქვეშ ორმოში აშენებულ სახლებში ცხოვრებს. ამ ერთათ-ერთ კარგ სახლში დგას მამა ღვდელი. აწ მაინც იმედია, რომ სოფელმა ითავოს და საზოგადოთ ერთი როგორიმე ქოხი ააშენოს წამსვლელ-მომსვლელთათვის.

ა. გაცუნაშვილი

## ხმა მაზრებიდან

როგორც მოსალოდნელი იყო უმართებულო დაუცხრომელმა ლანძღვა-გინებამ და თავის ქებამ ბ.ბ. სიმონიძისა და ანტ. ფურცელაძისამ ცუდი შთაბეჭდილება იქონია ქართული ჟურნალ-გაზეთების მკითხველებზე. ამათგან მოუდის ,,კვალის" რედაქციას მრავალი საპასუხო წერილები, რომლებშიაც გაკიცხულია არამც თუ თვით ზდილობას მოკლებული კილო, არამედ თვით ის ქართული გაზეთი, რომელიც ნებას აძლევს ასეთი ურიგო წერილების გამოქვეყნებას. ჩვენ შეუძლებელათ ვრაცხთ ყველა სასაყვედურო წერილების დასტამბვას „კვალში"; ამისთვის მოვიყვანთ ამ წერილებიდან ზოგიერთ ადგილებს, რომელნიც მიუცილებლათ, როგორც პროტესტი მკითხველთაგან, ჯეროვანს ყურადღებას მიიქცევს ჩვენის რედაქციებისას.

***

ქუთაისიდან იწერება ერთი ნოქართაკანი მ. მ. მ—ლაძე წერილს შემდეგი სათაურით: ,,საყვედური ქ. ქუთაისის ქართველ ნოქრებისაგან". ამ წერილში

უფრო შესანიშნავია ქვემოხსენებული ალაგი:

„კალმის წვერით შურის ძიებამ იქამდის მიაღწია, რომ ჩვენ თითქმის სრულიად გაგვიქრო კითხვის სა-



ჩრდილოეთ უკიანეს გასასვლელი სრუტი დიდ აღმოსავლეთის უკიანეში; ამ სრუტის გაღმა-გამოღმა ამართული არიან ყინულის მთები.

ლისი. საზარელი გახდა ჟურნა-გაზეთის ხელში აღება. ის ჩემი ამხანაგი ნოქრები, რომელნიც გუშინ ხელიდან ტაცებდნენ ერთი-მეორეს ყოველ გვარ-ნაბეჭდ ქაღალდს, დღეს კი „ივერიის" წაკითხვის უარი მითხრეს. გინების მეტი არაფერი იწერებაო.... მაგათი დამწერი სიტყვით ქადაგობენ ძმობას, ერთობას, თავისუფლებას და თითონ კი ერთმანეთს ჭამენო."

* * *

მეორე წერილია ქართლიდან ხელმოწერილი სვიმონი, თუმცა სრული ადრესი ამ ავტორისა „კვალის" რედაქციაში ინახება. აი, რას წერს ის ანტ. ფურცელაძეს:

გარს“ ბ-ნ ი. გოგებაშვილის შედგენილს—კი გასცილებია, ძველი მწერლობისა და სამღვთო-წერილისათვის თვალი უდევნებია, ვერ ნახავ ისეთს ადამიანს, რომ „გალიარო“ წამოცდეს. რაც შეეხება ენის მცოდნე და განვითარებულ პირს გურიაში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში და თბილისშიაც, ყოველგან ვუყურე ამ სიტყვის შესახებ მსჯელობას და ყოველგან ბ-ნ ი. სიმონიძეს ამტყუნებდენ და შემცდარათ თვლიდენ; მხოლოთ, როცა ვუთხარი თქვენმა უმორჩილესმა მონამ, რომ რატომ გაზეთებში არას წერთ, თუ საქმე აგრეა და ასე ამბობთ-მეთქი? იმათ მიპასუხეს—ი. სიმონიძე მაინც არაფერს დაიჯერებს, უფრო გაცხარდება, უფრო წერას დაიწყებს და თავს მოგვამძლებსო და სხ... შეიძლება ბევრი იყოს ისეთი კაცი, რომ ი. სიმონიძეს მომხრე იყოს და პირშიც ეუბნებოდეს, შენ ხარ მართალი, გამარჯვებული და სხვაო..

მაგრამ არც ამითი ჩაითვლება ბ-ნი სიმონიძე გამარჯვებულათ. შეიძლება დღეს გაიმარჯვოს ბ-ნ სიმონიძემ, ყოველ დღიურ გაზეთში ბევრი წერით, მაგრამ ხვალ და ზეგ ეს საგანი მაინც გამოირკვევა და ჭეშმარიტებაც თავისას გაიტანს. რაც შეეხება, რომ გურიაშიც და სხვა მხარეშიაც ზოგიერთნი ხმარობენო, ზოგიერთის ხმარებაც არაფერი მოსატანია. საქმე იმაშია, რომ ვინ ხმარობს? თუ ხმარობს სრულიათ უბრალო ხალხი, რომელსაც არც გაზეთი უკითხავს, არც „დედა-ენა“ და არც „ბუნებისკარი“, კიდევ, კარგი, დავიჯერებთ, მაგრამ თუ ჩვენს ერთათ-ერთს დღიურს ორგანოს გაურყვნია ჩვენი შვენიერი ენა და იმიდან გადაჩვევია ზოგიერთები და ახლა „გალიარებს“ ამბობს, განა ეს ჩვენც ჭეშმარიტებათ აღვიაროთ? სრულიადაც არა. განა იმიტომ რომ ჩვენი ცნობილი პედაგოგი ი. გოგებაშვილი ხმარობს „რამდენის“ მაგიერათ „რავდენის“, ამისთვის ჩვენც უნდა „რავდენი“ ვიხმაროთ?!. არა და არა.

დასასრულ არ შემიძლია დავფარო ჩემი და საზოგადოთ მთელი გურულების აზრი არ მოვახსენო ბ-ნ ი. სიმონიძეს, ანტონ ფურცელაძეს და ამათ გვარ მეფელეტონებთ, რომ დღემდის, შემცდარი ვიყავით თუ არა, დიდათ ვაფასებდით, დიდს პატივს ვცემდით და ზიზღით ვუყურებდით იმათ, ვინც ბ-ნ ფურცელაძეს, ან სხვებს არ აფასებდენ და პირიქით კიცხავდენ. მაგრამ ამ უკანასკნელ დროებში, როდესაც გაზეთი „ივერია“ ამ ვაჟბატონებმა უპატრონოთ ნახეს და ფელეტონის ადგილები სხვას აღარ დაუთმეს, თვითონ დაიწყეს იმ კაცების ლანძღვა და მიწასთან გასწორება, რომლის სიყვარული ჩვენ და ყველა ქართველს გვაქვს, გარდა იმ ორიოდე ცრუ მწერალ-ინტელიგენტებისა, რომელნიც თითებზე ჩამოსათვლელნია და შურით გავსებულნი არიან, ნურას უკაცრავათ, თუ პატივს აღარ ვცემთ ამიერიდან. ამ გვარ კერძო ინტერესების და პირადობით გამსჭვალულებს, რომელთა რიცხვი მცირეა ვერ ვეთანხმებით აკაკი მთელ ქართველობას, მთელ იმ ხალხს, რომელსაც ქართული ენა შეუსწავლია და იცის ღმერთსავით უყვარს, საფიცრათ და სალოცავათ გაუხდია. ამიტომ ნურას უკაცრავათ, თუ ეს მეფელეტონენი, რომელთა ნაწერში მხოლოთ ლანძღვა გინებას, პირადობას და შურს დაუკავებია, თუ ჩვენც იმ ქართველებთან იმ პირებთან, რომელიც მათი ახლობელი მეზობლები არიან და ანტონზე ცუდი აზრის იყვენ დღემდის, იწუნებდენ მის ენას და მიწასთან ასწორებდენ, ამას შემდეგ იმათივე თვალით შევხედოთ და იმ რიგათ პატივი ვცეთ მას, როგორც დღემდის ტფილისის მწერლობა აფასებდა.

რაც შეეხება ბ-ნ აკაკის, ვთხოვთ, რომ თვალყური ადევნოს ჩვენს ერთხელ შვენიერს და დღეს გადასომხურებულ და დამახინჯებულ ენას. მწერლობას და საზოგადოებას აუწყოს, რომ „გალიარებ“ არ უნდა „აღგიარებ“ უნდაო, „საბაბი“ არ უნდა „საბუთი“ უნდაო და სხვ...

დეე, სიმონიძე-ყორღანია-ფურცელაძეებმა ერთმანეთს მხარი მიცენ, „ივერიის“ ფელეტონებში წერონ თავისი დაუსრულებელი „ლანძღვა“ და როცა დაასრულებენ, მერწმუნეთ იფქლის ნაცვლათ ღვარძლს მოიმკიან.

ჩვენ ლანძღვა და ერთმანეთის გაუტანლობა უმათოთაც ვიცით, მხოლოთ რაღაც სხვა გვასწავლონ და სხვაფრივ დაგვატკბონ, ის ჯობია.

* * *

დაბა აბაშა. 7 ნოემბერს. სწორეთ რომ ძლიერ საწყენ მდგომარეობაში ჩაგვაგდო წრეუნდელი წელიწადი პატივცემულმა „ივერიის“ რედაქტორმა იმით, რომ ის აძლევს ნებას ისეთი რამეების წერისას თავის თანამშრომლებს, რომელნიც ყურით მოსასმენათ ძნელია. რა პატიოსნება მოითხოვს გინებას და ლანძღვას ისეთი კაცისას, რომელსაც თავი წამებული აქვს ჩვენდა გასავითარებლათ, ჭკუისა და გონების შესასწავლათ, რომელსაც ტოლი არა ჰყავს ჩვენს ცხოვრებაში... „გალიაროს“-„აღგიაროს“ არ იყოს, ჩვენ თუმცაღა იმის გარჩევაში არ შევალთ ეს სიტყვა სწორეა, თუ არა, მარა როდესაც თ. ი. ჭავჭავაძის თხზულებაში, I ტომი გვერდი 147, წერია „აღგიარეს“, გვიკვირს იმავე პატივცემულ პირის გაზეთში როგორ დაათიეს ამდენი ამბავი ამ სიტყვაზე და გული გაუწვრილეს „ივერიის“ მკითხველებს. ასე დარწმუნდით, რომ, ბევრს არ ვიტყვი და ჩემი ღარიბი შეძლებისდაგვარათ აგერ მეოთხე წელიწადია ვიწერ

„ივერიას“ და ვუგზავნიდი მეზობლებს წასაკითხავათ, მარა აგერ ხუთი თვე გადის, იძულებული ვიყავი და ვარ, რომ არც ერთი ნომერი არ მითხოვებია, რა კი ისეთი უპატიური სიტყვებით არის გავსებული ამ გაზეთის ნომრები. აღარ ვიცი, ისეთს გაზეთს თუ ვინმე წაიკითხავს, რომელშიაც გინება და ლანძღვის მეტი არა წერია რა! ნუ დაივიწყებთ, რომ გაზეთებს სოფლიდანაც ბევრი შემოსავალი აქვს, თვარა ქალაქელს რომ კითხო: „საქმე არა მაქვს, რა მეგაზეთება; თუ რამე მოხდება ჩემი თვალითვე ვხედავო“.

სოფლელი

## კ ა ც ე ბ ს

ფიკვრს გულში რათ ჩაგექრათ,
კაცთ ქალების მეშურნობა?
როგორც ნივთი დაგიპყრივართ,
და არა გაქვთ ჩვენი ნდობა.

—

სულ გვძრახავთ და სულ გვაძაგებთ,
არც ჭკუა აქვთ, არც გრძნობაო,
რა ესმით, რას გააგონებთ,
რომ არა აქვთ გონებაო.

—

ქალმა გიხსნათ სატანჯველით,
შეგაერთა ზეცის ძალსა,
გაგიბრწყინათ ბნელი ნათლით,
რომ იაროთ გზას უვალსა.

—

დაცემულნი აღგადგინათ
და იტვირთა თვით ძე ღვთისა,
რომ სამოთხე კვლავ გეპოვნათ
და მოესპო წყევა ისა.

—

ქალი იყო წმიდა ნინა,
რომ კერპობა დაარღვია,
ქრისტეს მცნება დაგვიდგინა
და ხელთ იპყრო ივერია.

—

თამარ მეფე, გმირთა-გმირი,
ქართველთ სახელის მომფენი,
ვინც გაჰკურნა ქვეყნის ჭირი
და ადიდა ჩვენი ძენი.

—

მრავლის ტანჯვის მიმღებელი,
ის ქეთევან დედოფალი,
ვით დაიცვა ქრისტეს რჯული
და ეწამა ტურფა ქალი.

—

ხომ ასეა და რათ გვჩაგრავთ,
რათ გვაყენებთ ამდენს ვნებას?
ძალის-ძალათ თვალებს გვიხვევთ
და ცდილობთ ჩვენს დამუნჯებას.

—

მშობელს დედას, ცოლს და ასულს,
ასე როგორ დაამდაბლებთ?
ცბიერათ ხდით, უწუხებთ სულს,
ბოროტებას მუდამ სწამებთ.

—

მათ სიტურფეს ჯადოთ სახავთ,
მაშ თქვენ რაღათა ტყუვდებით?
რაკი კეკლუც ქალსა ნახავთ,
გადირევით, შეიშლებით.

—

დარწმუნდით, რომ ამხანაგათ
შევქნილვართ და უნდა ვიყოთ;
მაშ აღგვზარდეთ ზნითაც კარგათ,
რომ ყოველ მხრით სრულნი ვიყოთ.

ბარბარე ჯორჯაძისა

# საგრამატიკო კვლევა

როგორც ეხსომება მკითხველებს, ჩვენს წინა წერილებში ვამბობდით, რომ, რადგანაც პირის მაჩვენებელი ნიშნები (ვ, მ, გ...) ყველა ქართულ ზმნებში თავსდება თავსართთა, ანუ სრული სახის მიმცემ ელემენტებს შემდეგ, ამისა გამო საკამათო ფორმები: ვალიარებ, მალიარებ, გალიარებ..., კანონიერნი არ იქნებიან-მეთქი.

ამაზე ჩვენი პედაგოგი ბ-ნი სიმონიძე აგვიხირდა და გვიძღვნა ვრცელი უსტარი, საქმესთან უსაქმურობით შეზავებული, რომლიდანაც სრულიად დავრწმუნდით, რომ ჩვენს გაჯავრებულ მოკამათეს ვერც ჩვენი საბუთები შეუგნია ხეირიანათ, და ვერც თვითონ გვაწოდებს ჯეროვან საბუთებს.

მართალია, ბძანებს ბ-ნი სიმონიძე, საზოგადოთ ქართული ზმნები თავსართით „ალ“ არ იკარებენ წინიდან პირის მაჩვენებელს, მაგრამ მაინცა და მაინც საკამათო ზმნა (გალიარებ...) არ იქნება ობლათ დარჩენილი, რადგანაც მას ურიცხვი ჰყავს ტოლი და ამხანაგიო ზმნებში პრეფიქსებით: მე, მო და სა.

აქვე, რასაკვირველია, ჩვეულებისამებრ გვიკიჟინებს კიდეც დაუკვირვებლობას შემდეგი სიტყვებით:

„რატომ მის მეზობლებშიაც არ მოხდა ეს დამაწინაურებელი ცვლილება? აი ამოცანა (? გამოცანა), რომელსაც უპირველესი, ცენტრალური მნიშვნელობა აქვს დავის გადაჭრისათვის და რომლის დადგინება კონკრეტულათ ვერ მოახდინეს ჩვენმა მოწინაღმდეგეებმა“.

მოითმინეთ, ბატონო, მოითმინეთ, ყოველივეზე პასუხს მიიღებთ ჩვენგან და ერთხელ კიდევ დაგანახვებთ თქვენს მოუმზადებლობას და ძუნძულით, კუდ-ამოძუებულს უკანვე წაგალებინებთ ყოველსავე თქვენივე ბაგით ჩვენზე წარმოთქმულს უწმაწურ სიტყვებსა. მაშ შევუდგეთ საქმეს...

ზმნები, წარმოებულნი სახელებისაგან პრეფიქსებით (თავსართებით)—სა, მე, მო, ბ-ნ პედაგოგს დაუსახავს რთულ ზმნებათ, ესე იგი თავ-სართიანებათ; ეს დიდი შეცდომა გახლავთ და აი, რატომ.

ავიღოთ არსებითი სახელები:

დილა, კაცი, მარილი, ქათამი და სხვები...

აქედან პრეფიქსით „სა“ სწარმოებენ სიტყვები:

სადილი საკაცე, სამარილე, საქათმე და სხვები...

არის რამ განსხვავება ამ ორისავე რიგის სიტყვებში?

— ძალიან დიდი. „დილა“ —დრო იქნება, ხოლო „სადილი“ ჭამის დროს ნიშნავს, კაცი—სულიერი არსებაა, საკაცე-კი უსულო, ესე იგი ბალდახინი, მარილი—მლაშე ქვა არის, სამარილე—ჭურჭელი, ქათამი—შინაური ფრინველი იქნება, ხოლო საქათმე შენობა.

ახლა თქვენ დაეკითხეთ, მკითხველო, ბ-ნ პედაგოგსა, რადგანაც მე ძლიერ დაშინებული გახლავართ იმის უშვერი ლანძღვა-გინებით, ‘განა ზმნები, წარმოებულნი მეორე რიკის არსებითი სახელებისაგან, რთულნი იქნებიან უთავ-სართოთაცა?—სრულიათაც არა!.. რთული, ანუ ელემენტისაგან „სა“ წარმოებული ექნება მათ მარტო ტემა (პირმშო ლექსი), ამასთან თავისი რთულობით ეს ტემა ერთათ-ერთს განსაზღვრულ მნიშვნელობას აძლევს ყოველი ზმნის დედა-აზრს და ამიტომ—ვსადილობ, ვსაუბრობ, ვსაუზმობ, ვსამხრობ, ვასამართლებ, ვსარგებლობ და სხვები მარტივი ზმნები იქნებიან და არა რთული, როგორც ბძანებს ბ-ნი სიმონიძე; ხოლო—დავისადილებ, დავისაუზმებ, მოვსაუბრობ, დავსაუბრობ-გავასამართლებ, გავასარგებლებ და სხვები ამგვარნი—რთულნი. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ელემენტი „სა“ როგორც შინაგან, ანუ ლოგიკურ, შეცვლა-გადაცვლას ახდენს სიტყვებში, სწორეთ ასევე მომეტებულ შემთხვევაში გარეგან, ანუ ფორმალურ ცვლილებასაც მოახდენს ხოლმე (არა სრული რეტროგრესსიული ასსიმილაცია):

კაც—∩——სა-კაც-Ǝ
სი-მინდ—∩——სა-სი-მინდ-Ǝ
ნემს—∩——სა-ნემს-Ǝ
ბოსტან ..∩ ——სა-ბოსტნ-Ǝ

ახლა გადავშინჯოთ ბ-ნ პედაგოგისაგან ჩამოთვლილი ზმნები პრეფიქსით „მე“:

წისქვილ∩ (შენობა)—მე-წი სქვილ-Ǝ (ადამიანი)
ველ∩ (ადგილი)—მე-ველ-Ǝ (ადამიანი)
ბაღ∩ (გაშენებული ადგილი)—მე-ბაღ-Ǝ (ადამიანი)
დუდუკ∩ (საკრავი იარაღი)—მე-დუდუკ-Ǝ (ადამიანი)...

აქედან ზმნები —ვმეწისქვილეობ, ვმევველეობ, ვმებაღეობ, ვმეზურნეობ, ვმენახირეობ და სხვა... რის რთული ზმნები იქნებიან, როდესაც რთული მათ მხოლოთ სიტყვის ტემა (პირმშო ლექსი) აქვთ, ხოლო თვით ზმნები კი მარტივნი არიან. ამ ზმნებიდან რთული ფორმები: გავმეწისქვილდები, გავმებადურდები, გავმებაღდები, გავმენახირდები, და სხვა...

სწორეთ ასევე გადავშინჯოთ ზმნები, წარმოებულნი არსებითი სახელთაგან პრეფიქსით „მო“:

ნადირ∩—მონადირƎ (ადამიანი)
ქალაქ∩—მოქალაქƎ (ადამიანი)

ნაწილი—მონაწილე (ადამიანი)

სახლი —მოსახლე

ღვაწლი—მოღვაწე

აქაც დაუფიქრდით, როგორც გარეგან, ანუ ფორმალურ, ასევე შინაგან, ანუ ლოგიკურ შეცვლა გადაცვლას. ახლა უნდა გაისარჯოთ, მკითხველო, და შეეკითხოთ ბ-ნ სიმონიძეს, თუ რის რთული ზმნე ბი იქნებიან—ვმონადირეობ, ვმოქალაქეობ, ვმოსახლეობ, ვმოსაქმეობ, ვმოსარჩლეობ და სხვები, როდესაც სიტყვები: მოქალაქე, მოსარჩლე, მოსაქმე..., მარტივ საგნის გამომხატველნი არიან და ზმნებსაც თავიანთ სიმარტივესა და განუყოფელობას გადასცემენ.

ყველა ამ სამი რიგის მაგალითებში ბ-ნ სიმონიძის აზრით ზმნებს „დამაწინაურებელი ცვლილება“ მიუღიათ ნაცვლათ წინანდელი ჩამორჩენილი სახისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბ-ნი სიმონიძე ბძანებს, რომ ზევით ჩამოთვლილი ზმნები უნდა ხმარებულიყვნენ ასეო:

ა) სავამართლებ, სავრგებლობ, სავუზმობ, სავუბრობ, სავმხრობ,..

ბ) მევწისქვილეობ მევველეობ, მევზურნეობ...

გ) მოვქალაქეობ, მოვსახლეობ, მოვსაქმეობ, მოვსარჩლეობ და სხვები...

ხოლო, როდესაც ენა განვითარდა, მარტო მაშინ „გალიარებ“-საებით ყველა ამ ფორმებაც მიიღეს „დამაწინაურებელი“ ცვლილებაო, ანუ, ესე იგი პირის მაჩვენებელმა ნიშანმა ყველგან ამ შემთხვევაში გადაისეირა თავშიო.

აი, ჩხირ-კედელაობა ამასა ჰქვია!..

გაუმეორეთ, მკითხველო, ბ-ნ სიმონიძეს ჩვენი სიტყვები, რომ ყოველი ენა, თვით დაბალ ფორმაციაში მყოფიც კი, თავის კვალობაზე ასაკში მოსული ბრძენია და არა ბალღი, მაშასადამე მაგრე ადვილათ არ დაჰნებდება კრიჭის ასაკრავათ ძალათ მაცხონეებს... გაგონილა?!.. ქართველ ხალხს, როგორცა ვხედავთ, თავის ენაში მტკიცე საფუძვლიანი, ფილოსოფიური ქსელი გაუბამს სიტყვების წარმოებისათვის და ბ-ნი სიმონიძე კი უკიჟინებს ამ ხალხს, რომ, არა თუ ბოლო ხანებში, არამედ დასაწყისშივე ულალატეს ამ თავის ფილოსოფიასაო. მკითხველო, მოახსენეთ ბ-ნ სიმონიძეს, რომ, არა თუ ქართული ენა, არამედ, საზოგადოთ დამტკიცებულია, ვერც ერთი ენა ვერ ულალატებს სიტყვების წარმოებისათვის წინადვე მიღებულ ფილოსოფიას და ეს ფილოსოფია სამუდამოთ შერჩება ენას იმ დრომდე, ვიდრე თვით ენა არ აღიგვება დედამიწის ზურგიდან.

ერთი ჩაჰყვირეთ, მკითხველო, ბ-ნ სიმონიძეს, როდესაც მაგალითათ „ბალისა და მებალის“ წარმოდგენები (представленія) კაცის გონებაში ერთი ერთმანეთისაგან გაირჩევა მარტო პრეფიქს „მე“-ს საშუალებით, ნუ თუ ამ შემთხვევაში შესაძლებელი და შესაწყნარებელი გახდებოდა ენისთვის ამ ელემენტის მოშორება და შუაში ოდესმე „ვ“-ს ჩასმა? (მევბალეობ და სხვები...) სადაური ლოგიკა ექნებოდა მაშინ ენას?

ყოველ ამ საბუთებზე შეიძლება, აგიხირდეთ ბ-ნი სიმონიძე და ბძანოს: მე ეგ სრულიადაც არ მითქვამს და ვიღაც დოდაშვილმა ჩემი გათახსირება მოინდომა და განგებ მახვევს თავს მაგისთანა სიმრუდესო.

ამ შემთხვევაში, მკითგველო, ბებიის წინდის ჩხირს წამოავლეთ ხელი და იმითი კარგათ დაუტკაპუნეთ პირველი წერილის ბოლოში შემდეგ ადგილზე:

„არსებობენ თუ არა ქართულ ენაზე იმისთანა რთული ზმნები, რომელნიც პირის მაჩვენებელს იმშვნევენ გინდ თავში, გინდ შუაში, ეკუთვნიან ერთსა და იმავე დროს ორივე რიგობას და შეადგენენ შემაერთებელ ხიდსა? უნდა არსებობდნენ, რადგანაც უეჭველად ეს გზა უნდა გაეარა დასრულებულს, დაწინაურებულს რიგობის რთულს ზმნებსა, ვიდრე იქითა ნაპირს გაეიდოდნენ. და ამ გზაზედ ზოგნი უკან დარჩენილნი უთუოთ იყვნენ, რომელთაც ცალი ფეხი იქითა ნაპირას უდგათ და ცალი ფეხი აქეთაზედ“.

ამ ორ-ფეხიანებზე, ნუ დამემდურებით, ჩემო ბატონო, ტოცა შემდეგ მოგახსენებთ, ახლა კი გადავავლოთ თვალი იმ მეოთხე წამოყენებულ ზმნების რაზმს, რომელთაც, აჩუებათ გადასახულ, წკნელებზე მოერეკება იმათი სპასალარი, ბ-ნი სიმონიძე, პეტრე პავლეს ციხის („ალგიარებ“) იერიშით ასაღებათ.

ეს ზმნები გახლავთ: ვდღესასწაულობ, ვწინასწარმეტყველობ, ვდიასახლისობ, ვგულდიდობ, ვგუთნისდედობ, ვდიავანზეგობ, ვარსკვლავთმრიცხველობ და სხვები...

გავარჩიოთ ეს ზმნებიც. სიტყვა „დღე“ ჰბადებს კაცის გონებაში ერთ-გვარ წარმოდგენას „სასწაული“—მეორე გვარს. ხოლო „დღესასწაული—მესამეს. სწორეთ ასევე „წინასწარი“ ერთსა ნიშნავს „მეტყველი“—მეორესა, წინასწარმეტყველი“—მესამეს. „დია“ (დიაცი, დედაკაცი)—ერთის მნიშვნელობით იქნება, „სახლი“—მეორე მნიშვნელობით, ხოლო „დიასახლისი“—მესამე და სხვები...

მაშასადამე ამ მოყვანილ ზმნებშიაც ლოგიკის

მხრივ სიმძიმის საყრდობი (центръ тяжести) იქნება, რასაკვირველია, რთულ ტემებში: „დღესასწაულ“ „წინასწარმეტყველ“ „დიასახლის“, „გულ-

გრილ", ,,გუთნისდედ", ,,დივანბეგ", ,,ვარსკვლავთ-მრიცხველ" და სხვები...

ამას შემდეგ აქ გასაოცებელი რა არის, რომ ამგვარათ შემდგარ სიტყვებისაგანაც წარმოებული ზმნები პირის მაჩვენებელ ნიშნებს თავში ისვამდენ?,. მკითხველო, უკაცრაოთ, დაეკითხეთ ერთი ბ-ნ სიმონიძეს, ეს უბედური ზმნები მაინც რისათვის აწვალა. ვითომ რაო, რა დამტკიცდა ამით?

ახლა გავისეიროთ, ჩემო კარგო მკითხველო,... არა, არა, ნუ გეშინიანთ, სიმონიძესთან არ მივდივართ სადილათ... ,,ორ-ფეხიან" ზმნებთან. გავშინჯოთ ისინიც და ვნახოთ, გაგვიმაგრდებიან, თუ არა?

ბ-ნი სიმონიძე უწოდებს ორ-ფეხიანს შემდეგ ზმნებს: ,,ვხელმძღვანელობ, ხელვმძღვანელობ, ვმონადირეობ, ანუ მოვნადირობ, ვზედამხედველობ, ანუ ზედავმხედველობ, და სხვები...

აქ, ამ მაგალითებში, მარტო ერთათ-ერთი მარტივი ზმნა გახლავთ შექმნილი ხალხისაგან (მონადირობა). დანარჩენი მაგალითები, როგორც ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა ახალ მწერლობას ეკუთვნის. მაშასადამე, ჩვენ ამ შემთხვევაში რასაც ვიტყვით მონადირობაზე, ის ზედ გამოჭრილი უნდა გამოდგეს ახალ სიტყვებისათვისაც, თუ ეს სიტყვები კანონიერათ არიან შემდგარნი.

,,ვმონადირობ — ანუ მოვნადირობ"

ასეც ვამბობთ და ისეცაო, დაჯერებით გვეუბნება ბ-ნი პედაგოგი. შეიძლება იგი ასე ამბობდეს და ურევდეს ამ ორ ფორმას ერთი ერთმანეთში, ჩვენ კი, მკითხველო, გვაშოროს ამას ღმერთმა, რადგანაც, როდესაც ამბობენ—მოვნადირობ, ამ სიტყვით სხვა რა გამოითქმის, თუ არა შემდეგი: გზა-გზა ისე ვიქცევი, როგორც ნადირიო, ხოლო ზმნის ფორმიდან —ვმონადირობ —მსწრაფლ შევიტყობთ, რომ ამის მთქმელი ყოველსავე იმასა სჩადის, რასაც მოიმოქმედებს ხოლმე მონადირე. სწორეთ ასევე ზმნებში—ხელვმძღვანელობ, ზედავმხედველობ... წარმოდგენის (представленіе) გათვალისწინავებისათვის უნდა ჩავუკვირდეთ მარტო სიტყვებს: მძღვანელი და მხედველი, და არა იმ სიტყვებს, რომლითაც ახალ მწერლობას სურდა სრულიად სხვა წარმოდგენის გამოწვევა. ესე იგი: ხელმძღვანელისა დ ზედამხედველისა.

განა ქართული ენა იმისთვის ჰქსოვდა სიტყვებს სხვა-და-სხვა წარმოდგენების აღძვრისათვის, რომ ბოლოს ბ-ნ სიმონიძის ჯიუტობის დასაკმაყოფილებლათ ეღალატა თავის გამორკვეულ პრინციპებისათვის? ყოველ აქ გარჩეულ, მოსაზრებისა კი არა, გონების დასაბნევ თაღლითებს ჩვენ არ ავუწონ-დავუწონთ ბ-ნ სიმონიძესებურათ; დრო არა გვაქვს ამისათვის და თვით ავტორისათვის მიგვინდვია ასეთი ჩხირ-კედელაობა, მაგრამ „ბალა ეს არის", რომ ტყუილათ იჭაპანწყვეტებს, რადგანაც პურის მარცვლის ნაქერქალსაც ვერ შეხვდება თავის ნაწერებში, თუმცა, ღვთის წყალობა გაქვსთ, მრავლისაგან მრავალი აღმოუჩნდეს მას, გუდაფშუტები, მყრალა ბალახები, ნარ-ეკლები, ძაღლიკიტრები და სხვა უვარგისი შხამიანი ბალახ-ბულახი.

კ. ლოდაშვილი

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადებანი

მომეტებული ნაწილი წრეუნდელი ხოლერიანებისა გამხდარან ავათ მტკვრის წყლის სმის გამო; ამისათვის ქალაქის გამგეობა საყოველთაოთ აცხადებს, რომ ხალხმა თავი დაანებოს მტკვრის წყლის სმას და სხვა საჭიროებისთვის მის ხმარებას, მით უმეტეს, რომ ქალაქის საბჭოს ექიმმა რეხტზამერმა აღმოაჩინა მტკვრის წყალში ხოლერის ბაცილები.

---

**დამზღვევი საზოგადოება**

## იაკორი (ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მიმიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით, მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზრახება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისთვისდა იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლი, თუ არა თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგაველიამინოვის ქუჩაზე № 2.

# ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გაყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გაყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდან ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლათ დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ; ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; სოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთ აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § სეფუძველით, ინიშნება, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა,

## $18^{7}/_{12}$ და $19^{11}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

### ქ. ქუთაისს

დარსხველიძისა მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 312 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ.

დიასამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ჩარკვიანისა ნატალია სპირიდონის ასულის: ნიჟარაძის გადასახვევში ორი ხის სახლები მიწით 494 კვად. საჟ.

იაყობიშვილისა შალომა ელოს ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 18 კვად. საჟ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საჟ.

ქაჯაიასი სიკო ხიტუს ძის, და ქორიავასი ზოსიმე მიქელის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 203 კვად. საჟ.

კობახიძისა ალექსი სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 455 კვადრ. საჟ.

ჩოგოვაძისა ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჟ.

მებუკისა ბესარიონ ვასილის ძის: ნემეცის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 309 კვად. საჟ.

რუსაძისა ლევან გიორგის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა $46^{1}/_{2}$ კვ. საჟ.

ჟღენტისა გედევან სპირიდონის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 კვად. საჟ.

რუსაძისა ვასილ ბუჭუას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა $27^{1}/_{2}$ კვ. საჟ.

ლორთქიფანიძისა დავით არჩილის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 123 კვად. საჟ.

ხანანაშვილისა შათათა ისრაელის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 კვ. საჟ.

მატარაძეთა მიხაილ, ივანეს ძის და ოსებ დიმიტრის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 კვ. საჟ.